



საქმე №1ბ/381-17

**გ ა ნ ა ჩ ე ნ ი**  
**საქართველოს სახელით**

1 ნოემბერი, 2017 წელი

ქ. თბილისი

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატის მოსამართლე: გერონტი კახეთელიძემ**

**ნანა უნდილაშვილის მდივნობით,**

**სახელმწიფო ბრალმდებლის:** ლაშა ამირანაშვილის  
**მსჯავრდებულის:** ბ. ჯ.-ს  
**ადვოკატის:** მ. ჯ.-ს

**მონაწილეობით,**

ღია სასამართლო სხდომაზე, მსჯავრდებულ **ბ. ჯ.-ს** სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, განიხილა სისხლის სამართლის საქმე (გამოძიების №XXXXXXXXXXXXX): **ბ. ჯ.-ს**, დაბადებულის 1977 წლის 19 იანვარს, საქართველოს მოქალაქის (პირადი №XXXXXXXXXXXXX), დაოჯახებულის, საშუალო განათლებით, ნასამართლევის, რეგისტრირებულის: **წ.-ს რ.-ს ს. წ.-ში**, ფაქტობრივად მცხოვრების: **ქ. თ.-ში, ქ.-ს ქ. №XX-ში**, ამჟამად პატიმრის, მიმართ, დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით.

**აღწერილობით – სამოტივაციო ნაწილი:**

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ **ბ. ჯ.-მ** ჩაიდინა ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სსკ-ის 117-ე, 118-ე, ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი.

**ბ. ჯ.-ს** მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

**ბ. ჯ.** თავისი მეუღლის, **თ. კ.-ს** მიმართ სისტემატურად ახორციელებდა ძალადობას, სისტემატურად შეურაცხყოფდა მას, რის შედეგადაც **თ. კ.** განიცდიდა ტანჯვას. 2017 წლის 6 იანვარს, ღამის საათებში, **ქ. თ.-ში, ა.-ს დ.-ს მე-X ქ.-ს №XX** სახლში და აღნიშნული სახლის ეზოში, **ბ. ჯ.-მ** თავისი მეუღლის, **თ. კ.-ს** მიმართ კვლავ განახორციელა ძალადობა, მიაყენა მას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, რა დროსაც **თ. კ.-მ** განიცადა ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 21 მარტის განაჩენით:

**ბ. ჯ.** ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 3 მაისის განაჩენით დანიშნული და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 29 იანვრის განჩინებით შემცირებული პირობითი მსჯავრი. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს - თავისუფლების აღკვეთას 1 (ერთი) წლის ვადით, ნაწილობრივ დაემატა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 3 მაისის განაჩენით დანიშნული და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 29 იანვრის განჩინებით შემცირებული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან 1 (ერთი) წლით და 10 (ათი) თვით თავისუფლების აღკვეთა და **ბ.ჯ.-ს**, განაჩენთა ერთობლიობით, საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლის და 10 (ათი) თვის ვადით.

**ბ. ჯ.-ს** სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავებიდან - 2017 წლის 7 იანვრიდან.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა **ბ. ჯ.-მ.** წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით და სააპელაციო პალატის სხდომაზე შესავალ, დასკვნით და საბოლოო სიტყვაში დაცვის მხარემ ზოგადად მოითხოვა **ბ. ჯ.-ს** მიმართ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელის შემსუბუქება.

სააპელაციო პალატამ შეისწავლა რა საქმის მასალები, გაეცნო სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას, ყოველმხრივად და ობიექტურად შეამოწმა საქმეში არსებული მტკიცებულებანი, შეაფასა თითოეული მათგანი საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დაცვის მხარის სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში მსჯავრდებულ **ბ. ჯ.-ს** მიმართ, ცვლილება უნდა იქნას შეტანილი შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსსკ-ის 297-ე მუხლის მოთხოვნათა ფარგლებში შეამოწმა გასაჩივრებული განაჩენი და თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ყოველმხრივ და ობიექტურად შემოწმდა ბრალდების მხარის მიერ შეკრებილი და წარმოდგენილი მტკიცებულებები, ანალიზი გაუკეთდა მათ, მოხდა მათი ერთმანეთთან შეჯერება. განაჩენში ჩამოყალიბებული სასამართლო დასკვნები კვალიფიკაციის თვალსაზრისით შეესაბამება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. სასამართლოს მიერ დადგენილია ყველა ფაქტობრივი გარემოება, რაც საჭიროა დასაბუთებული და კანონიერი განაჩენის გამოსატანად. მსჯავრდებულ **ბ. ჯ.-ს** დანაშაულებრივ ქმედებას მიეცა სწორი სამართლებრივი შეფასება, იურიდიული კვალიფიკაცია სწორად არის დადგენილი.

საქმეში არსებული მტკიცებულებების, რომლებიც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ და პრეიუდიციად იქნა მიჩნეული, კერძოდ, დაზარალებულის და მოწმის სახით დაკითხული თ. კ.-ს, რ. ა.-ს, დ. გ.-ს, მ. ი.-ს, ხ. კ.-ს, მ. წ.-ს ჩვენებების, ბრალდებულის სახით დაკითხული ბ. ჯ.-ს ჩვენების, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის, ნასამართლობის ცნობის, სამედიცინო ექსპერტიზის №XXXXXXXXX დასკვნის, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების შემაკავებელი ორდერის დამტკიცების თაობაზე და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების შეფასების და გაანალიზების შემდგომ პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს, რომ ბ. ჯ.-მ ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით.

რაც შეეხება დაცვის მხარის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას, საქმეში არსებული პასუხისმგებლობის მთელი რიგი შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით (მსჯავრდებულმა ბ. ჯ.-მ აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული, საგამომიებო მოქმედებებში მონაწილეობის მიღებით ითანამშრომლა გამომიებასთან, სადავო არ გახადა საქმეში არსებული მტკიცებულებები, რითაც ხელი შეუწყო საქმეზე სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას, აქვს ჯანმრთელობის პრობლემები), სააპელაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, განაჩენთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან, ნაცვლად 1 (ერთი) წლის და 10 (ათი) თვის ვადით თავისუფლების აღკვეთისა, 1 (ერთი) წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც პალატის დასკვნით, არ იქნება უსამართლო და სავსებით უზრუნველყოფს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნების განხორციელებას, როგორცაა ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, დამნაშავის რესოციალიზაცია და სამართლიანობის აღდგენა.

საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნისას სააპელაციო პალატა ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის ისეთ შემამსუბუქებელ გარემოებას, როგორცაა მისი მისწრაფება აანაზღაუროს ზიანი და შეურიგდეს დაზარალებულს. აღნიშნულ კონტექსტში სააპელაციო პალატა ყურადღებას მიაპყრობს სააპელაციო პალატის სხდომაზე დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ, საქართველოს სასჯელალსრულების და პრობაციის სამინისტროს №17 თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების, სადაც სასჯელს იხდის ბ. ჯ., მომართვაზე, რომლითაც დასტურდება, რომ მსჯავრდებულ ბ. ჯ.-ს 28.09.2017წ. გამოყენებული ჰქონდა ხანგრძლივი პაემანი მეუღლესთან - თ. კ.-თან, შესაბამისად, ისინი შერიგებულები არიან. პალატა მიიჩნევს, რომ დაზარალებულთან შერიგება საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის დანიშვნისას გასათვალისწინებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა მით უფრო ისეთ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებული და მსჯავრდებული ერთი ოჯახის წევრები არიან და ერთობლივად ეწევიან ოჯახურ თანაცხოვრებას.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ბ. ჯ.-მ როგორც გამომიებაში, ისე საქმის არსებითი განხილვის დროს პირველი ინსტანციის სასამართლოში და სააპელაციო საჩივრის განხილვის დროს თავი ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში, აღიარა და მოინანია ჩადენილი ქმედება. სააპელაციო პალატა აცხადებს, რომ დანაშაულის გულწრფელი აღიარება

და მონანიება დამნაშავე პირის მიერ ჩადენილი ქმედებისადმი სუბიექტური მიდგომაა, განცდაა ჩადენილი დანაშაულის გამო. დანაშაულის გულწრფელი აღიარება და მონანიება, ზიანის ანაზღაურებისა და დაზარალებულთან შერიგების სურვილი სწორედაც რომ გათვალისწინებული უნდა იყოს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიებების და ცხადია, სასჯელის დანიშვნის საკითხების გადაწყვეტის დროს.

სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ბ. ჯ.-თვის განაჩენთა ერთობლიობით საბოლოოდ დანიშნული სასჯელის სახე და ზომა - თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლის ვადით, მის მიერ ჩადენილი ქმედების პროპორციული იქნება, რათა მსჯავრდებულმა გააცნობიეროს ჩადენილი ქმედება, გამოიტანოს სათანადო დასკვნები და მოახდინოს საკუთარი თავის რეაბილიტაცია.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ დაცვის მხარის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 21 მარტის განაჩენში ბ. ჯ.-ს მიმართ, ცვლილება უნდა შევიდეს და მსჯავრდებულს უნდა შეუმსუბუქდეს განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული საბოლოო სასჯელის ზომა.

#### ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ 298-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

#### დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ბ. ჯ.-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 21 მარტის განაჩენში ბ. ჯ.-ს მიმართ, ცვლილება იქნას შეტანილი;

**ბ. ჯ.** ცნობილ იქნას დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით;

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 3 მაისის განაჩენით დანიშნული და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 29 იანვრის განჩინებით შემცირებული პირობითი მსჯავრი. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს - თავისუფლების აღკვეთას 1 (ერთი) წლის ვადით, ნაწილობრივ დაემატოს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 3 მაისის განაჩენით დანიშნული და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 29 იანვრის განჩინებით შემცირებული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან 1 (ერთი) წლით თავისუფლების აღკვეთა და **ბ. ჯ.-ს**, განაჩენთა ერთობლიობით, საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლის ვადით;

**ბ. ჯ.-ს** სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავებიდან - 2017 წლის 7 იანვრიდან;

ცნობად იქნას მიღებული, რომ **ბ. ჯ.-ს** მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა, გაუქმებულია;

**ნივთიერი მტკიცებულება:**

საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ:

იატაკის საწმენდი ჯოხის ტარი, განადგურდეს;

განაჩენი კანონიერ ძალაშია გამოცხადებისთანავე და სასჯელის ნაწილში ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას;

განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში (მდებარე ქ. თბილისში, ძმ. ზუბალაშვილების ქ.№32ა), მისი გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით.

**მოსამართლე:**

**გ. კახეთელიძე**